



0112, საქართველო, თბილისი, დ. აგმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/8835
16/10/2023

8835-21-2-202310161642



მოქალაქე ელენე ნოდისას

ელ.ფოსტა: foi+request-2893-daa1ff4c@askgov.ge

პ/ნ: 01001101451

მოგესალმებით,

თქვენი 2023 წლის 3 ოქტომბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში შემოსული წერილის **N7954/01** თანახმად, გაცნობებთ, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო დღეის მდგომარეობით ახორციელებს ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მონიტორინგს ავტომატური სადგურების საშუალებით, რომელთა განთავსების ადგილებია: ქ.თბილისი, წერეთლის გამზ. 105; ქ.თბილისი, ყაზბეგის გამზ. ვ.გომიძის სახელობის განახლებული პარკი; ქ.თბილისი, ვარკეთილი 3, I მკრ-ნი, მე-2 კორპუსის მიმდებარე ტერიტორია; ქ.თბილისი, აღმაშენებლის გამზ. 73ა, "ილიას ბაღი"; ქ.რუსთავი, ბათუმის ქ. 19; ქ.ქუთაისი, ლადო ასათიანის ქ. 98 და ქ.ბათუმი, აბუსერიძის ქუჩა N1.


ატმოსფერული ჰაერის ხარისხის ავტომატურ სადგურებზე უწყვეტ რეჟიმში ისაზღვრება შემდეგი დამზინძურებლების კონცენტრაციები: მყარი ნაწილაკები (PM10, PM2,5), აზოტის ოქსიდები (NO, NOx, NO2), გოგირდის დიოქსიდი (SO2), ნახშირბადის მონოქსიდი (CO) და ოზონი (O3). აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ სადგურზე ისაზღვრება მძიმე მეტალებისა და ბენზაპირენის შემცველობა.

ასევე, ატმოსფერული ჰაერის ხარისხის დადგენის მიზნით საქართველოს 30 ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი, ზესტაფონი, თელავი, ზუგდიდი, გორი, ახალციხე, ფოთი, სამტრედია, ხაშური, სენაკი, ოზურგეთი, კასპი, მცხეთა, ჭიათურა, ლანჩხუთი, საჩხერე, ტყიბული, ლენტეხი, მარნეული, ბოლნისი, სიღნაღი, ყაზბეგი, ქობულეთი, ლაგოდეხი, საგარეჯო, ახალქალაქი, გარდაბანი) წელიწადში ოთხჯერ (მარტი, ივნისი, სექტემბერი, ნოემბერი) ჰაერის ხარისხის ინდიკატორული გაზომვები ტარდება ბენზოლის, აზოტის დიოქსიდისა და ოზონის კონცენტრაციების განსასაზღვრად.

ატმოსფერული ჰაერის ხარისხის მდგომარეობის შესახებ მონაცემები შესაძლებელია იხილოთ ჰაერის ხარისხის პორტალზე <http://air.gov.ge/>. ხოლო, სხვა ინფორმაცია გარემოს ხარისხობრივი მდგომარეობის შესახებ შესაძლებელია იხილოთ სსიპ

გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.nea.gov.ge ანგარიშების სახით.

ნატო სულუაშვილი



სამმართველოს უფროსის - მ.შ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის სამმართველო

